

## თინათინ თურქია

### “ვეფხისტყაოსანი“ და “სამყაროს ენობრივი სურათის“ ერთი შრაბმენტი (ადამიანი და მისი ადგილსამყოფელი)

ადამიანის დამოკიდებულება მისი გარემომცველი სამყაროს მიმართ პარადიგმატული ბუნებისაა. ცხადია, შეუძლებელია ერთბაშად მთელი კოსმოსი ერთნაირ ხარისხში იქნას დანახული და აღქმული. ამიტომაცაა საჭირო ათვლის წერტილი, რომლიდანაც სიშორე-სიხალისის მიხედვით შეიძლება მზერა გავადევნოთ მთელ მანძილს პირის ადგილსამყოფლიდან უშორეს წერტილამდე. არის თუ არა ეს მომენტი გათვალისწინებული ენობრივ მასალაში? ათვლის წერტილი ხომ არის დედაენა, რომელიც შეიცავს ცნობიერ თუ ქვეცნობიერ ცოდნას ადგილის, როგორც ადამიანის სამყოფლის (თავშესაფარი, სამკვიდრებელი, სადგომი...) შესახებ. ამ თვალსაზრისით ლექსიკის კვლევა აუცილებლად შეიცავს ორ განზომილებას — სინქრონიულსა და დიაქრონიულს. რადგან ქართული ენის დიალექტური და ფუნქციური მრავალფეროვნების ფონზე ისტორიული გამოცდილების გარეშე შეუძლებელია სემანტიკური ასოციაციების პარადიგმატული გააზრება, ამ თვალსაზრისით (იხევე, როგორც სხვა მრავალი თვალსაზრისითაც) “ვეფხისტყაოსანი“ განსაკუთრებული ძეგლია. ამ შესანიშნავ პოემაში თავს იჩენს მე-12 საუკუნის საქართველოსთვის დამახასიათებელი ყველა სიკეთე: 1) მთელი ქართული ენობრივი სივრცის (ყველა დიალექტური ვარიანტის) საუკეთესო სემანტიკურ-კონოტაციური მიგნებების აკუმულირება სალიტერატურო (სამწერლობო) ენაში; 2) ენის “დაკვირვების არეალის“ უნიკალური სიფართოვე საქართველო (ნიკოფსიით დარუბანდამდე) და მსოფლიო (ინდოეთიდან ეგვიპტემდე); 3) სასულიერო და საერო ცოდნის სინთეზი და სათანადო ენობრივი მარკირებულობა; 4) სახისმეტყველებითი აზროვნების სიფართოვე, რაც მეტაფორული აზროვნების ხარისხის ზრდის პირობაცაა; 5) ადამიანისათვის იმდროინდელი ქვეყნიერების მრავალი წერტილის მისაწვდომობა და ამის საფუძველზე ენობრივი დიაპაზონის გაფართოება მეტი სპეციფიკური, კოლორიტული საგნის, იდეისა თუ მოვლენის მარკირების თვალსაზრისით.

“ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ნებით, მისი გმირები სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან და მოძრაობენ. ქვეყნიერების გარშემო. ჩვენ ამჯერად სწორედ პოემის ის ასპექტი გვაინტერესებს, რომლითაც ადამიანის ამა თუ იმ ადგილთან (ჩვენს შემთხვევაში, საცხოვრისთან) დამოკიდებულების სახელდების პრინციპს ამოკითხვას შევძლებთ. ქართულ ენაში საცხოვრებელი ადგილის სემანტიკური ველი დიდძალ მასალას იტევს და ეს კარგად ჩანს “ვეფხისტყაოსანშიც“. ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით დაისმის, შემდეგია: არის თუ არა საცხოვრისის ტერმინოლოგია/აბელატივებში რაიმე სისტემა, თუ ეს ლექსიკა ოდენ მექანიკური თავმოყრაა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხეში გაჩენილი დასახელებებისა? ამ კითხვაზე პასუხს სწორედ “ვეფხისტყაოსანი“

გვაძლევს, რომელიც "მოწესრიგებული" ეპოქის "მოწესრიგებულ" ნიმუშს წარმოადგენს. ავტორს, უსაზღვრო ნიჭისა და დახვეწილი გემოვნების გარდა, შესანიშნავი განათლება აქვს, რაც მის ენობრივ კომპეტენციასაც ეტყობა. რუსთაველი ძალიან ფრთხილია სინონიმების გამოყენების თვალსაზრისით. მას ყოველი სიტყვა კონტექსტის ზედმიწევნითი გათვალისწინებით აქვს შერჩეული. ე.წ. საცხოვრისის ლექსიკის მაგალითზე ასეთი სურათი იხატება:

### 1.სამყარო

როგორც აღვნიშნეთ, "ვეფხისტყაოსნის" ტექსტში უდიდესი წესრიგია ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური სამყოფლის, არსის, სამყაროს მოწყობის კონცეპტუალური ხატის წარმოჩენის თვალსაზრისით. ეს წიგნი ცხადლივ გვიჩვენებს იერარქიულ წყობას ქართულ ფილოსოფიურ და სახისმეტყველებით აზროვნებაში: უფალი — ადამიანი! - მიწა - სახლი - დროებითი თავშესაფარი - მიწა, რომელიც ადგილია და - მიწა, რომელზეც პასუხისმგებელია ადამიანი. პოემის ავტორი მკაფიოდ განარჩევს ერთმანეთისაგან ამ სისტემის ყოველ წევრს და ამას მათი სახელდების გზითაც ახერხებს. სამყარო ღვთის საგანმგებლოა, და ამიტომ შემოქმედიც მას "ქმნის", ხოლო ქვეყანა "სამყაროს მხოლოდ ერთი ნაწილია"; "ქვეყანა" კაცთაა და შემოქმედი მას "ჩვენ გვაძლევს":

"რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
 ზეგარდმოთ არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,  
 ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერიდა,  
 მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა".

საბა ასე განმარტავს ამ სიტყვას: "სამყარო - ესე ცაჲ არს უძრავი და მყარი, გარეგან სხუათა ცათა (დაბად.) (რომელსა ზედა არს სასუფეველი და მკედრობა ცათა".

სამყაროს იერარქიული სიმაღლე სხვა სივრცეების მიმართ დასტურდება ძველი ქართული ენის ძეგლებშიც; ი. აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში" სამყარო განმარტებულია, როგორც "სიმტკიცე, საყრდენი: "შექმნა მეფემან სოლომონ ძელი იგი უთლელი სამყაროდ ტაძრისა", (0, 111, მფ. 10, 12; "დაამტკიცა ქუეყანად სამყაროსა ზედა თქსა"/ ფს. 103,5. "ქუეშე კერძო სამყაროსა მას ფრთენი მათნი განმარტებული", ეზეკ. 1,23; "შეფუცა მე სამყაროსა ცისასა; რომელმან განაწყენა ვარსკულავნი სამყაროსა შინა, დაემსჭულა".

ზურაბ სარჯველაძის "ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში" სამყაროს ერთსიტყვიანი განმარტება აქვს: "სამყარო - ღ - სიმაგრე". საინტერესოა, რომ ზ. სარჯველაძე, რომელიც წინამდებარე ლექსიკონის მასალას ძველი ქართული ენის სხვადასხვა ლექსიკონიდან კრებს (როგორც თავადაც აღნიშნავს წინასიტყვაობაში) და განმარტებით ლექსიკონად აქცევს (მის "...სიტყვის კონაში" 29 400 ლექსემაა შესული), სამყაროს მხოლოდ სიმაგრედ განმარტავს და არა კოსმიურ სივრცედ (თუმცა ის ი. აბულაძის ლექსიკონსაც ეყრდნობა. სავარაუდოა, რომ ის "სამყაროს" ამ მნიშვნელობას ე.წ. საშუალ ქართულს უკავშირებს (ზ. სარჯველაძე, 2001). ვფიქრობთ, ამ ლექსემის "ვეფხისტყაოსანში" მოცემული მნიშვნელობა სწორედ მისი სემანტიკური დაკონკრეტების ეტაპს უნდა გვიჩვენებდეს.

სამყარო "გრივოლ ხანძოელის ცხოვრებაში" კოსმოსია, ზეცის ვარემოა: "რომელნიცა იგი ბრწყინვიდეს, ვითარცა მოიებნი ზეცისა სამყაროსა, ზილულსა

ამას და განქარვებადსა მზესა ქვეშე“. თუმცა ეს სიტყვა იქ მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული და, როგორც ვხედავთ, მსაზღვრელთან ერთად (“ზეცისა სამყარო”) “ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა სამყარო რამდენჯერმე გვხვდება და ყველგან ის ზეციურ ძალასა და ყოვლისმომცველ კოსმიურ სივრცეს გულისხმობს:

“მას ჰგვანდეს, თუცა სამყაროს მზე უჭდა შუა მთვარეთა;  
იარნეს დღენი მრავალნი ლალთა, ბრძნად მოუბარეთა“;

ან:

“ყმაღან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან;  
თქვეს: “სურნელი სული ვარდთა დღეს მოგვბერა ქვენა ბუქმან”.

“მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე.

რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე...“

როგორც ვხედავთ, “ვეფხისტყაოსანში“ მკაფიოდაა გამიჯნული სამყარო (დაახლ. კოსმოსი) და ყველა დანარჩენი (რაც ამ კოსმიური მთლიანობის ნაწილია), მათ შორის ქვეყანა. განსხვავებით უფრო ადრინდელი ნიმუშებისაგან, აქ სიტყვა “სამყარო“ უმსაზღვრელოა, მას არ ესაჭიროება დაზუსტება, ის უკვე ტერმინადაა ჩამოყალიბებული და სრულიად კონკრეტული ობიექტის ამსახველია (მდრ.: “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სინტაგმას “ზეცისა სამყაროსა“, ან ი. აბულაძის ლექსიკონში: “მეფუცა მე სამყაროსა ცისასა“). ამიტომაცაა, რომ ის, ვინაც შექმნა სამყარო, ზვენ გვაძლევს “ქვეყანას“, მთელის ნაწილს; თუმცა თავად ეს ნაწილიც მთლიანია სხვის მიმართ:

ქვეყანა “ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება: ა) ფართო:

“ყოვლი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია“ (აქ იგულისხმება თანამედროვე ქვეყნიერება, ანუ ერთ სახელმწიფოზე მეტი ტერიტორია);

“მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი“ (იგულისხმება დედამიწა);

“მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა“ (მიწა);

ბ) ვიწრო: “მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად, /საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად“ (ლაპარაკია ერთ სახელმწიფოზე).

რამდენადაც ადგილისა და საცხოვრისის ლექსიკის სემანტიკური ანალიზი გულისხმობს ქართული ენის ლექსიკური ფონდის კვლევას ენობრივი პროცესების დინამიკის თვალსაზრისით, ზვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ცალკეული ეპოქალური სიბრტყის მონაცემები (საძიებო ლექსიკის სემანტიკური ველების მიხედვით); “ვეფხისტყაოსანი“ ამ გაგებით ყველაზე ფასეულ ინფორმაციად გვევლინება.

ლინგვისტიკისათვის ოდითგანვე იყო საინტერესო სიტყვის აზრობრივი სტრუქტურის ენობრივი ტრანსფორმაციისა და ცვალებადობის პრობლემატიკა, მაგრამ ამჟამად ლექსიკური ერთეულების გარდაქმნისა და ერთი სემანტიკური ჯგუფიდან მეორეში გადაადგილების ხასიათისა და მიზეზების დადგენის საკითხი თანამედროვე ენათმეცნიერების უაქტუალურესი პრობლემა გახდა (ი. აბულაძე, 1973). ამ თვალსაზრისით აუცილებლად გასათვალისწინებელია ისეთი სპეციალისტების ნაშრომები, როგორებიც არიან: ა. მეიე, ა. შლაიხერი, მ. ბრეალი და, აუცილებლად, ვ. ჰუმბოლდტი. ქართული ლექსიკის სემანტიკური ისტორიის შესწავლა და ამ ლექსიკის თანამედროვე ძალისა და როლის განსაზღვრა ჯერ მომავლის საქმეა, თუმცა სადღეისოდაც მიმდინარეობს ამ სფეროში სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამუშაო. დინამიკურ ასპექტში ლექსიკის კვლევის გზით შესაძლებელი ზდება

ლექსიკურ-სემანტიკურ ცვლილებებში სისტემური ორგანიზაციის დანახვა. როგორც აღნიშნავენ, "სისტემურობას ენაში დიალექტიკური ხასიათი აქვს: წყვეტილობა მასში უწყვეტობას ესაზღვრება, აუცილებლობა - თავისუფლებას, სისტემურობა-ასისტემურობას... სისტემურობა-ასისტემურობის დიალექტიკური ურთიერთქმედება ენის არსებობისა და განვითარების უმთავრესი პირობაა (შაკოვსკი, 2005, გვ. 82-87); რ. იაკობსონი, ცდილობდა რა ენობრივი მონაცემების მსგავსება-განსხვავების დადგენას (ერთი ენის შიგნით ან სხვადასხვა ენაში), ხაზს უსვამდა, რომ ეს საკითხი ძალიან ძნელად გადასაწყვეტია და რომ იგი ლინგვისტიკის კარდინალურ პრობლემებს განეკუთვნება (რ. იაკობსონი, 1985).

თუმცა არსებობდა აზრი, რომ სამყაროს სურათის აღქმაში ეროვნული სპეციფიკის ძიება გადაჭარბებულია და რომ, ძირითადად, სხვადასხვა ენის "სამყაროს ენობრივი სურათი" ენობრივ უნივერსალებს შეიცავს (ნ. შანსკი, 1991).

ტერმინი "სამყაროს ენობრივი სურათი" დღეს უაღრესად აქტუალური ტერმინია და ენათა ურთიერთშეზღუდვისპირების (და შედარებისაც, ცხადია) ერთ-ერთ განსაკუთრებულად ნაყოფიერ სფეროს განეკუთვნება.

აქვე ორიოდ სიტყვით განვმარტავთ, რას ნიშნავს სამყაროს ენობრივი სურათი და რატომ გახდა ეს ტერმინი და მასთან დაკავშირებული კვლევები ასე მნიშვნელოვანი: ეს ტერმინოლოგიური შესიტყვება ფილოსოფიის წიაღში იშვა; მისი ავტორი ლ. ვიტგენშტეინია, ლინგვისტიკას კი ეს ტერმინი და მისი შესაბამისი შინაარსი ლ. ვაისგერბერმა მოარგო და ენაში ადამიანის ჯაქტორის კვლევის სფეროს მიუსადაგა. სამყარო, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ჩვენი აღქმისა და წარმოსახვის სახით აღწევს, სხვადასხვა ენის მიერ სხვადასხვაგვარადაა აღნიშნული. ცალკეულ სიტყვასა და გამონათქვამში სამყაროს შესახებ გადმოცემული წარმოდგენების ერთიანობა იძლევა შეხედულებათა სისტემას, რომელიც ამა თუ იმ ხარისხში გაზიარებულია ამ ენაზე მოლაპარაკე ყველა პირის მიერ. შესაბამისად, სამყაროს ენობრივი სურათი არის კონკრეტული ენობრივი კოლექტივის კატეგორიებისა და ფორმებში ასახული წარმოდგენები სინამდვილის აგებულების, მისი შემადგენლებისა და მამოძრავებელი პროცესების შესახებ. ამ სისტემის ცენტრი ადამიანია (და ადამიანთა კოლექტივი), რომელიც ენობრივად აღწერს იმას, თუ როგორ აღიქვამს საკუთარ თავს და თავის გარშემო ყველაფერს. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ადამიანები იყენებენ აშკარა ან არააშკარა მნიშვნელობის სიტყვებს და მათთან ერთად, თავისდაუნებურად, იღებენ იმ წარმოდგენებსაც, რომელიც ამ სიტყვებშია ჩადებული. ასე რომ ადამიანი სახელს არქმევს მოვლენას, შემდეგ ამ სახელს იყენებს სხვადასხვა ენობრივ კონტექსტში და მერე თავად სწავლობს ამ სიტყვის შინაარსს, სხვადასხვა კონტექსტში (ს.-ს. ორბელიანი, 1991) "აკრეფილი" დამატებითი მნიშვნელობებით (ზ. სარჯველაძე, 1995).

ლექსემა "ქვეყანა", რომელიც სამყაროს ნაწილთა შორის უფართოესი მნიშვნელობის შემცველია, თავისებურ სინონიმურ მიმართებაშია სამყაროს კიდევ ერთ ნაწილთან - სოფელთან, რომელსაც განსხვავებით "ქვეყნისაგან" არა მხოლოდ სივრცობრივი, არამედ დროითი მნიშვნელობაც (განზომილებაც) ემატება: აბულაძის განმარტებით "სოფელი" არის — სამთავრო, საკარანო, მამული, ვანი, სოფელი, ქვეყანა.

ს.ს.ორბელიანის მიხედვით კი — სოფელი სამ სახედ ითქმის: საუკუნო იგი სოფელი და წუთისოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმის.

რუსთაველთან "სოფელი" სიტყვის ვიწრო მნიშვნელობა არ შეგვხვედრია, პოემაში ეს სიტყვა ძირითადად წარმავალი ქვეყნიერების (წუთისოფლის) შინაარსისაა, თუმცა გამონაკლისიც შეგვხვდა, სადაც სოფელს თანამედროვე შინაარსი აქვს. თანამედროვე ქართულისთვის "სოფელი" ფართო მნიშვნელობას მხოლოდ კომპოზიტივებული მსაზღვრელის მეშვეობით იძენს (ამსოფლიური, იმსოფლად, წუთისოფელი) ან ანალიტიკური სინტაგმის გამჭვირვალე სემანტიკის წყალობით (წარმავალი სოფელი, ხანმოკლე სოფელი და სხვ.). "ვეფხისტყაოსანში" სოფელ-ფუძის წამყვანი მნიშვნელობა სწორედ ადამიანის სიცოცხლის დროით-სივრცული განსაზღვრაა:

"იგია ღზინი სოფლისა, იგია ნიეთი და ვალი,  
არ მისცილდება თინათინ მისი მას, ვისგან სწევავ ალი“.

"ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!“

ხანი გამოხდა, იკითხა: "ნეტარ, რასა იქმს ქალიო,

ჩემი ღზინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?"

"კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“.

თუმცა "სოფელ" ლექსემის "შინა არსი" დამოკიდებული არაა მისი სინტაქსური მეწყვილის მნიშვნელობაზე, მისი სემანტიკურ-კონოტაციური დიაპაზონის განსასაზღვრად მაინც ძალიან საინტერესოა, რომელ ლექსიკურ ერთეულებთან წყვილდება იგი პოემაში: "სოფლისა მზე", "სოფლისა ქმნა", "სოფლის თმობა", "სოფლისა სამსალა", "სოფლიდან გაღმა გაბიჯება", "სოფლისა საქმე", "სოფლისა ხასიათი", "სოფლის ღზინი", "სოფლისა მნათი", "სოფლისა წყალი“.

უიშვიათეს შემთხვევაში, "სოფელ" ლექსემის მნიშვნელობა დღევანდელს ებმინება:

"ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,

მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა“;

"სოფელი“, როგორც დროისა და სივრცის ერთიანობა, "საწუთროს“ სინონიმიცაა, მით უფრო, რომ "ვეფხისტყაოსანში არ იხმარება სიტყვა "წუთისოფელი“, რომელიც მეტაფორული აზროვნების მშვენიერი ნიმუშია და უფრო ვიანდელი ქართული პოეზიის მულმივი თანამდევიც "საწუთროს“ სალექსიკონო განმარტებებიდან ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩნია შემდეგი: საწუთრო - წუთიერი; საწუთროდს მოყვარედ - წუთისოფლისმოყვარე (ზ. სარჯველაძე) საწუთრო, საწუთო - დროებითი, წარმავალი; სააქაო, წუთისოფელი. "ძირი არა აქუნ გულსა თჳსსა, არამედ საწუთრო არს“ (მთ. 13, 21); "ნუ იყოფინ შენდა ღმერთ საწუთრო“ (ფს. 80, 10); "არა თუ საწუთროდსა ამის სიკუდილისაგან ვივლტით“ (რიფს. 165, 31); "საწუთოთათჳს და წარმავალთა განჰლევს თავსა თჳსსა“ (მ. ცხ. 40ვ); "მოგჳქცევიეს ესე მსოფლიონად და საწუთროდ“ (მ. ცხ. 21ვ); "საწუთროდსა ცხორებაჲ შენი განსრულებულ არს“ (მ. სწ. 99. 18); "ამასცა საწუთროსა უშფოთველი ცხორებაჲ ადასრულოთ და საუკუნესა მას მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკვდროთ“ (ი.ე. 26, 33); "შეგცოდეთ ვითარცა კაცთა საწუთროდსათა და სოფლის-მოყუარეთა“ შუშ. XVI-21 (ი. აბულაძე) "საწუთო წუთის ხნისა, საწუთრო - ეს სოფელი“ (სულხან-საბა ორბელიანი).

"ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, - ვარ საწუთროსა თმობითა“; "ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუშწარავი.“ "აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-

ბადაბშეულმანა!“; “შე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო-გაცუდებული“; “მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა.“ “მიმდინი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,/ იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან“; “მაშინ სოფელმან საწუთრო მიუხვის, რაცა ვინები“; “ვთქვი: საწუთროო, ვის წელან გული დარმანთა მიარე“; “მაშინ მოგეცა იმედი, ლხინი რად გამიზიარე? / დავჯე; მივეც გულსა ლხინი, საწუთროსა დამგმობარსა; თქვა: “ცოცხალ ვარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი ზვრიტნა!“; “რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს“; “დამხსენ ჩემსა საწუთროსა, ღმერთსა შენსა მიავალე!“; “საწუთრომან დამაღრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს“, “ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს!“; “თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,...“; “მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა“; “ვმგმობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა“; “იტყვის: მოგშორდი, სიცრუვე, ვა, საწუთროსა კრულისა!“

რამდენადაც ჩვენ უკვე შევეცადეთ "სოფელ" ლექსების სემანტიკური მეწყვილე მოგვეძებნა, იმავეს შევეცდებით "საწუთროსთვის": "საწუთრო მისი“, "საწუთროსა კრულისა“, "მუხთალსა საწუთროსა“, "ჩემსა საწუთროსა“, "საწუთროსა დამგმობარსა“, "მიმდინი საწუთროსანი“, "საწუთროსა ვალისა“, "საწუთრო-გაცუდებული“ და სხვ. ეს შესიტყვებები კიდევ უფრო ააშკარავენს "საწუთრო" და "სოფელ" სიტყვების სინონიმურ სიახლოვეს, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკონები ადასტურებენ, მაგრამ ერთი კითხვა ჩნდება: თუ ეს სინონიმურობაა, მაშინ რატომ გამოიყენება ეს ლექსემები "ვეფხისტყაოსანში" და კავშირიანი შეერთებით, როგორც ორი განსხვავებული შინაარსის მქონე ერთეული? მაგალითად:

“საწუთრო და სოფელს ყოფნა, კაცი უჩნსო, ვით ნადირსა,

ოღენ ხელი მხეცთა თანა იარების, მინდორს, ტირსა“.

“საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების:

ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.

მაშინ ჭირი ჩნდა ჩემზედა, აწ ასრე ლხინად უხვდების,

რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?“

"მიწყვიე წყალუდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.

იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისი მტერია!“

სოფელ- ლექსემას ფართო სემანტიკური სექტორი აქვს, ის მოქმედებაში (სინტაგმატურ ურთიერთობაში) შედის ნეიტრალური, პოზიტიური და ნეგატიური შინაარსის განმაპირობებელ მსაზღვრელებთან და სწორედ ამის წყალობით შეუცვლელია თავის სამოქმედო არეალში. რაც შეეხება საწუთროს, იგი, "სოფელ" სიტყვასთან შედარებით, გაცილებით ვიწრო კონოტაციისაა (ოღენ ნეიტრალური და ნეგატიური კონოტაცია "გამოსდის“); ეს საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ პოეზია ძალიან ხშირად მიმართავს ლექსემას -"საწუთრო" სწორედ მისი მეტაფორული და კონოტაციური ესთეტიკის გამო. "ვეფხისტყაოსანში" გვაქვს ასეთი ფორმაც - "საწუთროგაუმწარავი“, რომელიც შეიძლება პოზიტიური სემანტიკის სინტაგმათა (დასახელებულ მაგალითში შესიტყვების გაკომპოზიტება დასრულებულია) კატეგორიას მივაკუთვნოთ.

სიჭრცის უძირითადესი თავისებურება მისი "გაგრძელებულობაა“, შესაბამისად, ამ სიჭრცის დანაწევრება გარკვეული ლოგიკით გავლებული საზღვრებია. საზღვრის არსი ისაა, რომ ის მოძრავია, აქედანაა ტერმინები: "შემოსაზღვრა“, "უსაზღვრო“.

"განსაზღვრა", "საზღვრის გადაწევა", საზღვრის დარღვევა", "მოსაზღვრე", "მესაზღვრე", "სასაზღვრო" და სემანტიკური ასოციაციით "საზღვართან" დაკავშირებული სიტყვები: "საზღვრებში შემოჭრა", "საზღვრის გადმოლაზვა", "სასაზღვრო ზოლი" და ა.შ.

უნდა მოხვდეს თუ არა ტერმინი "საზღვარი" საცხოვრისისა და ადგილმომართების ლექსიკაში? ვფიქრობთ, რომ უნდა მოხვდეს, რადგან სწორედ საცხოვრისიდან იწყება საზღვრის შიდა და საზღვრის გარეთა სივრცის შემოფარგვლა.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ "ვეფხისტყაოსანი" შესანიშნავ მასალას გვძლევს ადგილმომართებითი, საცხოვრისთან დაკავშირებული და სივრცული ლექსიკის ანალიზისათვის. როგორც მოსალოდნელიც იყო, გენიალურ პოეტს ახასიათებს სიტყვის განსაკუთრებული შეგრძნება, მისთვის სამყაროს ხატის ჭკრეტისას მანძილისა და დროის მარკირება პრინციპულად მნიშვნელოვანია; დღეს, როდესაც ლინგვისტიკაში აქტიურად მოქმედებს ფუნქციურ-სემანტიკური მიმართულება, "ვეფხისტყაოსანი" ქართული ლექსიკის სემანტიკურ-კონოტაციური პოტენციალის წარმომჩენია. პოემაში აშკარად ჩანს, რომ ტექსტის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი არ შეიძლება იფარგლებოდეს ოდენ სტრუქტურული საკითხებით, და რომ ლექსიკის ნებისმიერი დონის განსაზღვრისას აუცილებელია კომპლექსური მიდგომა – ნებისმიერი ლექსიკური ჯგუფის სემანტიკური ველი მექანიკური ასოციაციებით არ შემოიფარგლება – საჭიროა სემანტიკურად ერთ ჯგუფში გაერთიანებულ ლექსიკას ჰქონდეს საერთო ფუნქციურ-სემანტიკური საფუძველი და სამყაროს ენობრივი სურათის განმსაზღვრელი მყარი ორიენტირები.

### დამოწმებული ლიტერატურა

- ი. აბულაძე, 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- რ. იაკობსონი, 1985 - Р. Якобсон, Часть и целое в языке [1], М., 1985.
- ე. მარკოვა, 2007 - Маркова Е. М., типология конвергентно-дивергентных отношений единиц праславянского лексического фонда в русском языке, диссертация на соискание ученой степени доктора филологических наук Москва – 2006. Московский государственный областной университет, Москва, 2007.
- ს.ს. ორბელიანი, 1991 - ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.
- ზ. სარჯველაძე, 1995 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.
- ზ. სარჯველაძე, 2001 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.
- ბ. შანსკი, 1991 - Шанский Н. М., Актуальные проблемы современной русистики / Н. М. Шанский [и др.] ; под ред. Н. М. Шанского. – Л. : Просвещение, 1991.
- Языковая картина мира**, [http://socupr.blogspot.com/2009/11/blog-post\\_5074.html](http://socupr.blogspot.com/2009/11/blog-post_5074.html), 2009.

## TINATIN TURKIA

### THE MAN IN THE PANTHER'S SKIN AND A FRAGMENT OF "THE LINGUAL PICTURE OF THE UNIVERSE" (Human being and its residence)

The author of 'The Man in the Panther's Skin' chose it that the protagonists of his poem are the representatives of different kingdoms who travel around the world. The aim of this paper is to detect the onomasiology principle according to which the residence names had been given their names and to what extent the naming choice features human relationship to the place they live. The semantic field of Georgian language names of living places embraces huge materials, which is also well-reflected in "The Man in the Panther's Skin". Rustaveli is very cautious in applying the synonyms. He picks up each and every word with the utter precision with regard to the context, and on the example of the words he chooses in naming the places of residence provides interesting pictures.

'The Man in the Panther's Skin' gives remarkable materials for the analysis of words denoting places and directions, related to the living place and space. The language of the poem reveals the semantic-connotative potency of the Georgian language. The poem reveals the attitude that the words belonging to the common semantic group should be united on the basis of the common functional and semantic grounds.'